ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7840974

ნომერი: AR11130892

თარიღი : 25.02.2026

გაცემის თარიღი : 12.03.2026

გაცნობის თარიღი : 13.03.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღერეთი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელისო ელისაშვილი პ/ნ 01025006529
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 10, ბინა 89

ორგანიზაცია:

- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ კოდი: 204555524

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სპორტულ-გამაჯანსაღებლი ობიექტები
  - სპორტული დარბაზი/კომპლექსი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01.მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: განმარტეთ იგეგმება თუ არა არსებული მოედნის დემონტაჟი

02.არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : .წარმოდგენილ იქნას ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ სველი წესით დამოწმებული მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით).

03. ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ -> დასკვნის ელექტრონული ფაილი: .გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წერილის ნომერი 60-01260634526 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში 60-01260634495, საქმის წარმოების დასრულების შემდეგ პასუხს მიიღებთ შეტყობინების ველში.

საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა -> სქემის ელექტრონული ფაილი: შეტყობინების ველში მირებული დანართის შესაბამისად ასახეთ უკანა ეზო და დაიცავით შენობის განთავსება.

04. საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს პოტენციური საბაგირო დერეფნის შეზღუდვის ზონაში, თქვენი განაცხადი გადაგზავნილია ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში 60-01260714189 პოზიციის დასაფიქსირებლად. პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით.

05. საპროექტო ტერიტორიაზე ინტერაქტიული რუკის მიხედვით ვრცელდება გაზსადენის შეზღუდვა საჭიროა წარმოადგინოთ შპს თბილისი ენერჯის წერილობითი პოზიცია სამშენებლო სამუშოებთან დაკავშირებით. ასევე ნაკვეთ კვეთს 01.01.340 , 01.01.333 მესაკუთრე სს ,,თელასი'' და 01.00.183 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ელექტრო გადამცემი ხაზი, საჭიროა წარმოადგინოთ ყველა მესაკუთრის პოზიცია მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან დაკავშირებით.

06. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა:
განთავსებით დაიცავით უკანა ეზო.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.